შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 17 აგვისტო, 2015 წელი

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი"), სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალოების შემსრულებლის ლელა სირაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალტა" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის კახა ჭოველიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში (№08-08) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.1 შეიცვალოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,3.2 ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის ფასი შეადგენს 659,05 (ექვსასორმოცდაცხრამეტი ლარი და 05 თეთრი) ლარს."

1.2 შეიცვალოს ხელშეკრულების 6.1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,6.1 შემსყიდველმა პროდუქციის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომელსაც შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი ალექსი ფეიქრიშვილი (ტექნიკური მხარის შესამაბისობაზე კონტროლი) და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბერუაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულებას ინსპექტირებას გაუწევს პროექტის ,,საჯარო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სერვისების ეფექტური მიწოდების გზით" შესყიდვების მენეჯერი თინათინ იმერლიშვილი-შუბითიძე. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს."

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში (№08-08) განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის მ/შ	**შპს „ალტა"-ს დირექტორი**
ლელა სირაძე	კახა ჭოველიძე